# გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — დიად სოციალისტურ სამშობლოს, მოძმე ხალხთა ურღვევ, მრავალეროვან თანამეგობრობას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცოცხალ განსახიერებას!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 247 (4757)

1972 წ. 15 დეკემბერი, პარასკევი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


50

**გაუმარჯოს სსრ კავშირის სახელოვან 50 წლისთავს — ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ერთიანობის, მეგობრობისა და ძმობის დიდ დღესასწაულს!**

## ბრწყინვალე სპორტსმენები, ნამდვილი მეგობრები

ბერლინი, 13 დეკემბერი. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით გდრ-ის სააგენტომ რესპუბლიკის ცნობილ სპორტსმენებსა და სახელგანთქმულ უცხოელ ათლეტებს შორის ანკეტა გაავრცელა. დღეს გთავაზობთ რამდენიმე პასუხს.

**პეტერ ფრენკელი**, ოლიმპიური ჩემპიონი სპორტულ სიარულში (გდრ):

— საბჭოთა სპორტსმენებმა მიუნხენში 50 ოქროს ოლიმპიური მედალი მოიპოვეს, რითაც შესანიშნავი საჩუქარი უძღვნეს სსრ კავშირის იუბილეს. ვალერი ბორზოვის, ლიუდმილა ბრაგინას, ნადეჟდა ჩიჟოვას და ალექსანდრე მედვედის წარმატება, ჩემი აზრით, საბჭოთა ოლიმპიური გუნდის, სპორტსმენთა ამ შესანიშნავი კოლექტივის ძლიერების ყველაზე ნათელი გამოხატულება იყო. სოციალისტური საზოგადოების უპირატესობა იმაშიც გამოიხატება, რომ სოციალიზმის ქვეყნებში სპორტის მყარ საფუძველს მისი მასობრიობა შეადგენს, რომ შეუპოვარი შრომითა და სწავლით ათლეტები ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანებად იქცევიან.

მე და ვლადიმერ გოლუბნიჩის უკვე ათი წლის მეგობრობა გვაკავშირებს. ჩვენ, გდრ-ის „მოსიარულენი", მასთან, ზოლოტოვთან, სოლდატენკოსთან და აგაპოვთან ერთად ვაჯამებდით საწვრთნელ მეცადინეობათა შედეგებს, ვსწავლობდით ახალ ტექნიკას, ერთმანეთს შეცდომებზე მივუთითებდით.

**დიტერ შპეერი**, 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონი ბიატლონში, საპოროს ზამთრის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი (გდრ):

— საბჭოთა მწვრთნელებისა და სპორტსმენების დაუხმარებლად გდრ-ის ბიატლონისტები საერთაშორისო სარბიელზე ასეთ წარმატებას ვერ მოვიპოვებდით. თუმცა ასპარეზზე ერთმანეთის მეტოქეები ვართ, სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენებს შორის მეგობრობასა და ურთიერთგაგებას მუდამ უმთავრესი ყურადღება ეთმობა.

**ლიუდვიგ დანეკი**, მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში (ჩეხოსლოვაკია):

— მე მუდამ აღტაცებას მგვრიდა ვალერი ბრუმელის რკინის ნებისყოფა, რასაც ბევრჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი გამარჯვებისთვის. სპორტსმენის დიდი ნებისყოფა იმაშიც გამოვლინდა, რომ ვალერიმ ხანგრძლივი, მძიმე ტრავმის შემდეგ თავის თავში იპოვა ძალა სპორტში დასაბრუნებლად.

**იორდანკა ბლაგოევა**, მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი, მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში (ბულგარეთი):

— მე იმდენი კარგი მეგობარი მყავს საბჭოთა სპორტსმენ ქალთა შორის, რომ ყველას აქ ვერც ჩამოვთვლი. განსაკუთრებით პატივს ვცემ ნადეჟდა ჩიჟოვას, ვალენტინა კოზირს და ვალენტინა ჩულკოვას. საბჭოთა სპორტსმენების საერთო დამახასიათებელი ნიშანია დიდსულოვნება, ამხანაგური გრძნობა, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება.

საქძელი მოგვითხრობს

## უძლიერესია ჩეტვერუხინი

ფიგურულ ციგურაობაში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის — „მოსკოვური ციგურების" ბოლო დღეს, 13 დეკემბერს, ვაჟთა პირველობა მოეწყო. ამ თანრიგში უძლიერესის სახელი მოსკოველმა ს. ჩეტვერუხინმა მოიხვეჭა.

უკვე ვიტყობინებოდით, რომ ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა ყინულზე სპორტულ ცეკვაში ახალი ნებისმიერი პროგრამით მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს და, ბუნებრივია, პირველობაც არავის დაუთმეს. ამ შესანიშნავმა დუეტმა 288,3 ქულა დააგროვა (ადგილების ჯამი—5). II ადგილზე გავიდნენ ი. მოისეევა და ა. მინენკოვი — 266,6 ქულა (11), III — ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი — 260,1 (19). როგორც ხედავთ, სპორტულ ცეკვაში სამივე საპრიზო ადგილი საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ.

• • •

სურათზე: წყვილთა სრიალში III ადგილზე გასული დუეტი — მ. ლეონიდოვა და ვ. ბოგოლიუბოვი შეჯიბრების დროს.

ე. უსპენსკის ფოტო („კომსომოლსკაია პრავდა").



## ახალი ამბები-72

● იჟევსკი, 12 დეკემბერი. ბიატლონისტთა ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება „იჟევსკის შაშხანის" პრიზზე 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტით დამთავრდა. საუკეთესო შედეგს მიაღწია არმიის გუნდმა (ორგზის მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის, რიგელი ი. ჩაურსი, ლენინგრადელი ნ. პუზანოვი, ჩიტელი გ. კოვალიოვი და ნოვოსიბირსკელი ი. კალმაკოვი) — 2:16.40. II ადგილზე გავიდა „ტრუდის" ნაკრები — 2:18.11, ხოლო III — „დინამოს" გუნდი — 2:19.50. საპრიზო ადგილი დინამოელებს ესტაფეტაში ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — ლენინგრადელმა რ. საფინმა და ნოვოსიბირსკელმა ა. ტიხონოვმა მოუტანეს, რომლებმაც საუცხოოდ განვლეს ბოლო ეტაპები და გუნდი IX ადგილიდან მესამეზე გადაიყვანეს. ოთხდღიანი მწვავე ბრძოლის შედეგად გუნდურ ჩათვლაში „ტრუდის" ბიატლონისტებმა გაიმარჯვეს.

● **მონრეალი, 18 დეკემბერი.** სსრ კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრებმა თავისი კანადური ტურნეს მესამე მატჩი გუშინ აქ გამართა: სახელგანთქმული კლუბის „მონრეალ კანადიენსის" იუნიორთა გუნდს შეხვდა. მასპინძელთა კოლექტივი ექვსი უფროსი პროფესიონალი მოთამაშით იყო გაძლიერებული. საინტერესო თამაში ფრედ დამთავრდა — 3:3 (0:0, 3:2, 0:1).

● მოსკოვი, 13 დეკემბერი. სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მოწვევით დღეს აქ ჩამოვიდა იუგოსლავიის ფიზკულტურული ორგანიზაციების კავშირის დელეგაცია ამ კავშირის პრეზიდენტ ს. პოზდერაცის თავკაცობით. დელეგაცია საბჭოთა სპორტულ მოძრაობას, სპორტნაგებობათა, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების მუშაობის გამოცდილებას გაეცნობა.



სურათზე: საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე რ. ხიზარულიძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# რატომ ჩამორჩებიან ჩოხატაურის რაიონში?

## დაბალია ფიზაღზრდის სწავლების დონე

## ბაზები მოუვლელია

## მშდ კომპლექსის შინაარსში ვერ ერკვევიან



გაიმართა კომკავშირის ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის დ. ჩხიკვაძის მოხსენება — „მშდ ახალი ფიზკულტურული კომპლექსი და რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები".

მომხსენებელმა დაასახელა მოწინავენი, მაგრამ განსაკუთრებით ვრცლად ილაპარაკა ნაკლოვანებებზე. მან აღნიშნა, რომ ბევრი ფიზკულტურული ორგანიზაცია კომკავშირის სუსტი დახმარების გამო ჩამორჩება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში, რის გამოც რაიონს გეგმების შესრულება უჭირს. თუმცა მშდ კომპლექსის 800 ნიშნოსანი უნდა ჰყავდეთ, დღემდე რაიონში ნორმატივები მხოლოდ 500 კაცს აქვს ჩაბარებული. 613-ის მაგიერ მომზადებულია 450 თანრიგოსანი, 534 საზოგადოებრივი მწვრთნელის, ინსტრუქტორისა და მსაჯის მაგიერ — 128.

მომხსენებელმა თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადებაში ჩამორჩენისთვის განსაკუთრებით გააკრიტიკა სასოფლო ფიზკულტურული ორგანიზაციები და „კოლმეურნის" რაისაბჭო. მან თქვა, რომ რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში მარტივი ტიპის სპორტული მოედნებიც კი არა აქვთ, არ იგრძნობა ამ ნაკლის აღმოფხვრისთვის ბრძოლაში კომკავშირელთა და ახალგაზრდების თაოსნობა. ხევის, ქვენობნის, ბასილეთის, კოხნარის, ქვემო ერკეთის, დაბლაციხის სპორტული მოედნები საძოვრებად გადააქციეს, იანეულში რამდენიმე წელია ფეხბურთის მინდვრისთვის ადგილი ვერ გამონახეს, ჩოხატაურის კოლმეურნეობის საფეხბურთო მინდორზე გზა გადის, ხიდისთავში, განახლებაში, შუა განახლებაში მარტივი ტიპის სექტორებისა და სარბენი ბილიკების მოწყობისთვის საუკეთესო პირობები გამოუყენებელია.

აქტივზე ითქვა, რომ ხევის, შუა სურების, ჩაისუბნის, იანეულის, გოგოლესუბნის, ჩხაკოურას, დიდი ვანის რვაწლიან და საშუალო სკოლებში წლეულს არც ერთი თანრიგოსანი არ მოუმზადებიათ. ფიზკულტურის საზოგადოებრივი კადრების მომზადებაში ძალიან ჩამორჩნენ გოგოლესუბნის, გორაბერეჟოულის, ფარცხმის, ჩხაკოურას, დიდი ვანის, ნაბეღლავის, ზემო სურების, ბასილეთის სკოლები. უფრო მეტიც: მშდ კომპლექსის ნორმატივები დღემდე რაიონის არც ერთ მასწავლებელს არ ჩაუბარებია.

დ. ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ სკოლებში დაბალ დონეზე დგას მშდ კომპლექსის პროპაგანდა, არ ტარდება საუბრები, მოხსენებები მშდ-ს მნიშვნელობაზე, რის გამოც მოსწავლეთა დიდი ნაწილი კომპლექსის შინაარსში ვერ ერკვევა.

ბევრ სკოლაში არა აქვთ სპორტინვენტარი, მოუვლელია ბაზები. სკოლებში ფიზაღზრდის სწავლების დონე იმდენად დაბალია, რომ მოსწავლეთა სპორტული მომზადება ახალი კომპლექსის ნორმატივებსა და მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში არა აქვთ მცირეკალიბრიანი შაშხანები, რაც ამ სახეობაში კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას აფერხებს. სავაჭრო ორგანიზაციები სპორტული ინვენტარის შემოზიდვით თავს არ იწუხებენ.

მომხსენებელმა გააკრიტიკა სპორტსკოლისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებიც, რომლებიც მშდ კომპლექსის პროპაგანდასა და ნორმატივების ჩაბარებაში სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ.

— ყველა ეს ნაკლი თავიდან იქნებოდა აცილებული, კოლექტივებისთვის კომკავშირულ ორგანიზაციებს მეტი ზრუნვა რომ გამოეჩინათ, მეტი კონტროლი და დახმარება რომ გაეწიათ, — აღნიშნა დასასრულ დ. ჩხიკვაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლის, რაიკოოპერატივის, ხიდისთავის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები ი. კეკელიძე, ლ. თავბერიძე, რ. კალანდაძე, შუა განახლების კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ი. სიხარულიძე, ერკეთის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი შ. კობიძე, განათლების რაიონული განყოფილების გამგე მ. კეკელიძე.

დ. ბურბუნიძე.
(ჩვენი კორ.).

ჩოხატაური.

---

✦ კომკავშირის საქალაქო კომიტეტის თასზე

✦ მეკარის ხსოვნას არ ივიწყებენ

✦ იქნებ უპატრონო მიწის ნაკვეთი სასარგებლოდ გამოვიყენოთ?

380008
თბილისი-8
ლენინის ქ. № 14
გაზეთ „ლელოს"
რედაქციას

### ზუგდიდი

ენგურქაღალდკომბინატის სტადიონზე შედგა კომკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მიერ დაწესებული თასის ფინალური მატჩი № 62 პროფტექნიკური სასწავლებლისა და მე-11 საშუალო სკოლის ფეხბურთელთა შორის. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდმა.

კ. ფიფია.

### ✦ ზესტაფონი

უფროსი და უმცროსი ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა საქალაქო შეჯიბრებაში 16 გუნდი მონაწილეობდა. წარმატებით ითამაშეს ქალაქის მე-4 საშუალო სკოლის ქართული სექტორის წარმომადგენლებმა (მწვრთნელი პ. მალაღურაძე), რომლებმაც ორივე ასაკობრივ ჯგუფში შეძლეს გამარჯვება.

ა. განუგრავა.

# კვლავ უპატრონოდაა...

წავიკითხე თქვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი „უპატრონო ეკლესიის ყოვლად მიწიერი საქმენი". იქ ლაპარაკი იყო თბილისის განათლების განყოფილების სპორტულ თამაშობათა სპეციალიზებული სპორტსკოლის მოსწავლეთა უთავბოლო და გაუმართლებელ წვალებაზე იმის გამო, რომ სკოლას ნორმალური სავარჯიშო ბაზა არ გააჩნია.

უნდა მოგახსენოთ, რომ ვცხოვრობ დიღმის მასივის IV კვარტალში, მიქელაძის ქუჩაზე. აქვე, სულ ახლოს არის მიწის მოზრდილი, წლების მანძილზე გამოუყენებელი ნაკვეთი, რომელიც უპატრონობის გამო დღითი დღე პარტახდება. ერთხანს ხმა დაირხა, ამ ნაკვეთზე ჭრუ-მუნჯთა სპორტული ბაზა უნდა აშენდესო, მაგრამ ეს ხმა ქარმა წაიღო და გამოუყენებელი ნაკვეთი კვლავაც უპატრონოდაა. ზოგჯერ მას მეზობლად მდებარე ავტოპროფილაქტორიუმი მანქანების სადგომად იყენებს.

ხომ არ იქნება მიზანშეწონილი, რომ ქალაქის საბჭომ აღნიშნული ტერიტორია სპორტსკოლის მშენებლობისთვის გამოყოს?

მ. დვალიშვილი.

• • •

**რედაქციისგან:** წერილი, რომელმაც ჩვენი მკითხველის ყურადღება მიიპყრო, „ლელოში" ამა წლის 5 ნოემბერს დაიბეჭდა. მას შემდეგ თითქმის თვენახევარი გავიდა, მაგრამ რედაქციას არ მიუღია პასუხი არც თბილისის განათლების განყოფილებისგან და არც სხვა შესაბამისი ორგანიზაციებისგან. არადა, ნორჩ სპორტსმენთა გულისტკივილს სწორედ მათ უნდა გასცენ პასუხი!

# ზედიზედ მეოთხედ!

თბილისში დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციული საქალაქო შეჯიბრება სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას სახელობის თასზე.

კვლავ გამოიჩინა თავი თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის ნაკრებმა (მწვრთნელი ე. ოდიკაძე), რომელმაც ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა საპატიო თასი.

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „ავაზა" (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. მესხი) და ნორჩი დინამოელი (მწვრთნელი ჯ. უშვერიძე).

ი. გოჯორაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

---

### ✦ თბილისი

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლთან არსებული პ. კობახიძის სახელობის საჭადრაკო კლუბის ამასწინანდელი ბლიც-ტურნირი, რომელშიც 10 პირველთანრიგოსანმა მიიღო მონაწილეობა. ტურნირი ორ წრედ ჩატარდა. I ადგილი დაიკავა კონსერვატორიის V კურსის სტუდენტმა ბ. ნეკრასოვმა — 18 ქულა 18-დან. II ადგილზეა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ი. გოლეთიანი — 15.

ი. თოდრია.

◆ პალმა-დე-მალიორკა, 14 დეკემბერი. ესპანეთის ამ აგარაკზე მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის XIII ტურში პოლუგაევსკიმ მოუგო ჰუგს (შვეიცარია), ავერბახმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ივკოვთან (იუგოსლავია), ხოლო კორჩნოიმ გადადო პარტია ლიუბოევიჩთან (იუგოსლავია). დაწინაურდა არგენტინელი პანო — 9 ქულა. ამჯერად მან ავსტრიელი რობაჩი დაამარცხა. კორჩნოის, ავერბახს, შვედ ანდერსონსა და სმეიკალს (ჩეხოსლოვაკია) 8,5-8,5 ქულა აქვთ, პოლუგაევსკის — 8. სათამაშო დარჩა 2 ტური.

◆ ჩიკაგო, 14 დეკემბერი. სან-ანტონიოს დიდ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში შესანიშნავად გამოსვლის შემდეგ სამმა საბჭოთა დიდოსტატმა — პეტროსიანმა, კარპოვმა და კერესმა ადგილობრივ საჭადრაკო კლუბში ერთდროული თამაშის სეანსები ჩაატარეს. თითოეული 65 მეტოქეს შეხვდა. 195 პარტიიდან საბჭოთა მოჭადრაკეებმა 179 მოიგეს, 8 პარტია ყაიმით დაამთავრეს და ამდენივე წააგეს. განსაკუთრებული წარმატებით ითამაშა კარპოვმა: მან 63 შეხვედრა მოიგო, დანარჩენი ორი კი ყაიმით დაამთავრა.

# „სასაცილოა?.."

ამ სათაურით „ლელოს" 21 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაკიანის საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობა.

ამის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი ჟ. გოგუა გვატყობინებს:

„გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის ბიურომ 29 ნოემბერს განიხილა სოფ. ნაკიანის საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობის საკითხი.

სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს ს. ქარჩავას ბიურომ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ჩაშლისთვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით და პირობით დატოვა დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში. ნაკიანის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ჭეჟიას სკოლაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და სპორტდარბაზის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო სამუშაოდ დატოვებულია პირობით. დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ე. ყალიჩავას გამოეცხადა საყვედური, რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს ვ. როდონაიას და ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს კ. ჟურავლიშვილს მითითება მიეცათ. ნაკიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. როდონაია და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჭ. ყალიჩავა სავაზო მშენებლობისა და სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოების უყურადღებოდ დატოვებისთვის გაფრთხილებული არიან.

რაიკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი წერილში დასმული საკითხის მოსაგვარებლად".

---

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

## ახალი საჭადრაკო კლუბი

ტაჯიკეთის ჩრდილოეთში, ყამირის მეურნეობათა ცენტრში, საჭადრაკო კლუბი გაიხსნა. კლუბის გახსნა დღესასწაულად იქცა ამ თამაშის მოყვარულებისთვის. ისინი კი აქ მრავლად არიან. ჭადრაკის ენთუზიასტმა — № 26 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსმა ნ. ვერხოგლაზენკომ სექცია ჩამოაყალიბა.

ყამირის მშენებლობათა ყოველდღიურ ფუსფუსში მოჭადრაკეებმა მაინც გამონახეს დრო საყვარელი თამაშისთვის. მწვრთნელია ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ბ. აბიტბაევი.

(საკდესი),
ზაფარაბოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# 200 კილომეტრი... ფეხით

ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს შესანიშნავი ღონისძიება

ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ ამას წინათ მოაწყო ინსტრუქტორთა მოსამზადებელი საკვალიფიკაციო ლაშქრობა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. მომავალი ინსტრუქტორები შემდგომ მოემსახურებიან რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებების ტურისტებს, გააცნობენ მათ საქართველოს ღირსშესანიშნაობებს. ამ ლაშქრობამდე მათ სპეციალური თეორიული და პრაქტიკული მომზადება გაიარეს. სემინარებს ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი პედაგოგები: სპორტის ოსტატი კ. ასტახიშვილი, თ. მინასოვი, გ. ქისტაური და სხვ.

სალაშქროდ 1 დეკემბერს თბილისიდან ავტომანქანით გავემგზავრეთ. 22 კაცი ვიყავით, ძირითადად თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები და პედაგოგიურ-ტექნიკური პერსონალი. არც არის გასაკვირი: აკადემიის ტურისტული და სპორტული ორიენტაციის სექციებს გამოცდილი პედაგოგები ა. აბრამიშვილი და ი. მარტიაშვილი ხელმძღვანელობენ.

ლაშქრობაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, თბილისის უნივერსიტეტის, კვების მრეწველობის საპროექტო ინსტიტუტის, ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების, რკინიგზის სადისპეტჩერო-გამოთვლითი საწარმოს წარმომადგენლები.

ჩარგალში დავათვალიერეთ ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი. მეორე დღეს მდინარე ჩარგლურას ხეობას გავყევით. კარგა ხანს სიარულის შემდეგ მდინარის კალაპოტს გადავუხვიეთ და ტყით შემოსილ აღმართს შევუყევით. ხუთი საათიც არ იყო გასული, რომ ალპურ ზონაში გავედით. საშუბის მთიდან კარგად ჩანს ყაზბეგის თოვლიანი მთა, კახეთის მიდამოები...

დავეშვით ხაშარულას ხეობაში და ლაშარის ჯვარზე გამოვედით, სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს.

მეხამე ღამისთევა ზემო არტანის მიდამოებში მოგვიხდა. აქ შევხვდით ადგილობრივ მცხოვრებლებს, გავეცანით თიანეთის რაიონის ღირსშესანიშნაობებს.

ლაშქრობის მეოთხე დღეს ივრის ხეობას გავყევით საწინააღმდეგო მიმართულებით. გზაში ნასახლარები დავათვალიერეთ. მიზნად გვქონდა გადავსულიყავით ილტოს ხეობაში და იქიდან გეზი ახმეტისკენ აგვეღო. ასეც მოვიქეცით. ჩვენს მარშრუტში შედიოდა: ბახტრიონი, ქვემო ალვანი, ალავერდი, იყალთო, შუამთა და თელავი.

რვადღიან ლაშქრობაში მომავალმა ინსტრუქტორებმა დაახლოებით 200 კილომეტრი ფეხით გაიარეს, რაც ზამთრის მეორე ტურისტული კატეგორიის ლაშქრობას ეფარდება.

მომავალმა ინსტრუქტორებმა კარგი ფიზიკური და თეორიული მომზადება გამოავლინეს.

თ. ნონიკაშვილი,
თბილისის სამხატვრო აკადემიის მასწავლებელი.

* * *

სურათებზე: ტურისტები გზაში, კარვების გაშლა.
ავტორის ფოტოები.

# განახლებული საუბარი
## მოგვეცით ინვენტარი — მოგვთხოვეთ პასუხი

ჩვენი პირველი საუბარი ამ ორიოდე კვირის წინ: რედაქციას ესტუმრნენ საქართველოს ველოკროსმენთა ნაკრები გუნდის მწვრთნელები ი. გოცირიძე და ნ. ტრეტიაკოვი. საუბრის თემა მომავალი საკავშირო ჩემპიონატი იყო. ჩვენ, რედაქციის მუშაკებს, გვაინტერესებდა საქართველოს ველოსიპედისტთა შანსები ამ ჩემპიონატში. გავიხსენეთ წინა წლების წარმატებები, მარცხი...

— საკავშირო ჩემპიონატებში ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი შედეგი გვქონდა 1970 წელს. მაშინ, ადლერში რესპუბლიკის ნაკრებმა VI ადგილი დაისაკუთრა.

უკეთესი შედეგის გასახსენებლად მწვრთნელებს გონების დაძაბვა მოუხდათ და მხოლოდ ამის შემდეგ გაიხსენეს, რომ 1959 წელს სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაში საქართველოს კროსმენებს IV ადგილი დაუკავებიათ.

ვერაფერი ნუგეშია. მწვრთნელებს მაინც არ ვაძლევთ მოსვენებას, ვეკითხებით მოსალოდნელ შედეგებზე და ბოლოს ასეთ პასუხს ვიღებთ:

— თუ ყველაფერი კარგად წარიმართა და ბედმაც არ გვიმტყუნა, ხუთეულში უნდა მოვხვდეთ. ბედისა რა მოგახსენოთ — კროსში მას მართლაც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა, მაგრამ V ადგილი ჩვენთვის წარმატებაა. სხვა რესპუბლიკა (მაგალითად, ლიტვა ან უკრაინა) ასეთი შედეგის გამო შესაძლოა დანაღვლიანდეს, მაგრამ ჩვენ ველოსიპედისტების წარმატებებით არავართ განებივრებული, ამიტომაც V ადგილსაც სიამოვნებით მოვაწერთ ხელს. ყოველ შემთხვევაში, ხუთეულში მოხვედრა უთუოდ პროგრესი იქნება.

მაშინდელი საუბარი სწორედ აქ შეწყდა.

და აი, ჩემპიონატი დამთავრდა. ბაქოდან 15 კილომეტრის დაშორებით გათამაშდა წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი ბოლო პირველობა, რომელმაც გამოავლინა სსრ კავშირის უძლიერესი ველოკროსმენი და პირველი გუნდი. პირდაპირ უნდა ვთქვათ: მწვრთნელებმა პირობა შეასრულეს, ხოლო გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ ა. ცხოვრებაძე, ნ. დემჩუკი, ჟ. ბოგდანოვი, ი. რთველიაშვილი, ბ. კილასონია, ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ უფროსი ამხანაგების სიტყვა საქმედ ქცეულიყო.

V ადგილი! ახლა, როცა ჩემპიონატი დამთავრდა და ჩვენს თვალწინაა განვლილი ბრძოლის დეტალები, ეს შედეგი ორნაირ ემოციას იწვევს. V ადგილი, რა თქმა უნდა, წარმატებაა თუნდაც იმიტომ, რომ მოსკოვის ძლიერი კოლექტივი მხოლოდ XI ადგილზე გავიდა (აი, რას ნიშნავს სპორტული იღბალი), მაგრამ ეს V ადგილი ადვილად შეიძლებოდა მეოთხეზე გადაგვეცვალა, რომ...

ველოკროსის ტრასაზე იმდენი დაფარული ხიფათი და მოულოდნელობაა, რამდენიც თავდაღმართი ან ციცაბო აღმართია. მარტო რისკით აქ ფონს ვერ გახვალ — უსათუოდ დაკარგავ ძვირფას წუთებს. ზედმეტი სიფრთხილე კი კუდში მოგაქცევს. გონივრული რისკი, გონივრული სიფრთხილე — სადაც გაცლა სჯობს, გაეცალე, სადაც გული გერჩის, გაბედე, ოღონდ არ დაკარგო კრიტიკული აზროვნების უნარი.

მეხუთე წრის დასაწყისში ი. რთველიაშვილმა დაკარგა სიფხიზლის გრძნობა და ციცაბო დაღმართში თითქმის აკრძალული სისწრაფე განავითარა. სხვები ამ დროს ფრთხილად ეშვებოდნენ სამშვიდობოსკენ, ის კი ქარივით მოაქროლებდა ველოსიპედს. აზარტში შესულმა ერთ მომენტში წონასწორობა დაკარგა და დაეცა. მერე კი რამდენი ენერგიის დახარჯვა მოუხდა, რათა ბოლო ადგილიდან დაძრულიყო, ჩამოეტოვებინა 30-მდე მეტოქე და ლიდერთა ოცეულს მიახლოებოდა.

ამ დროს კი ტრასაზე ძალთა თანაფარდობა ყოველ წუთს იცვლებოდა. ლიტვის, უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები მორიგეობით ლიდერობდნენ რბოლას, ოღონდ იმ ვარაუდით, რომ შორს არ გაეშვათ ერთმანეთი. ჩვენს გუნდსაც ჰქონდა კონკრეტული ტაქტიკური გეგმა — არ გამორჩენოდა ლენინგრადელთა რაიმე ინიციატივა, რაც შეიძლება მეტად დასცილებოდა უზბეკეთისა და ყაზახეთის წარმომადგენლებს. დემჩუკის ავარიამდე საქართველოს ველოსიპედისტები IV ადგილს ინარჩუნებდნენ. იძულებითმა შეფერხებამ კი გუნდს დაახლოებით წუთნახევარი წაართვა. ამ წუთნახევარმა გადაწყვიტა კიდეც IV ადგილის ბედი: ლენინგრადელები დაწინაურდნენ და ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ერთხელ კიდევ შევხვდით მწვრთნელებს. ცხადია, შედეგით კმაყოფილი იყვნენ, თუმცა ზოგიერთი სურვილი მაინც გამოთქვეს. ყველაზე არსებითად გვეჩვენა ინვენტარის მიზეზით გამოწვეული უკმაყოფილება. მართლაც საკვირველია, რომ სპორტსმენები წლების მანძილზე ინვენტარის უვარგისობაზე ლაპარაკობენ და არავინ აქცევს ყურადღებას მათს გულისტკივილს. რატომ უნდა ჰქონდეს ჩვენზე უკეთესი ინვენტარი, ვთქვათ, ლიტვის გუნდს? განა ამ კოლექტივის წევრებიც იმავე წესითა და რიგით არ მარაგდებიან, როგორც ჩვენი ველოსიპედისტები? განა ველოქარხნები მათ ან, ვთქვათ, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის გუნდებს, საგანგებო მანქანებს უმზადებენ? გაუგებარია, რატომ ვერ მოხერხდა წლების მანძილზე ერთხელ და სამუდამოდ ამ საკითხის მოგვარება.

ჩვენ ხშირად გვსმენია სპორტსმენთა სამართლიანი საყვედური: მოგვეცით პირველხარისხოვანი მანქანები, ნაწილები, კარგი შედეგები მერე მოგვთხოვეთ. იქნებ არ ცდებიან ისინი, იქნებ აქ მარხია სწორედ ძაღლის თავი? ყოველ შემთხვევაში, ჯერ ხელი შევუწყოთ, ჯერ დავაკმაყოფილოთ კანონიერი სურვილები, მერე კი თანაბარი სიმკაცრით მოვთხოვოთ შედეგები სპორტსმენებს, მწვრთნელებს და ყველას, ვინც ველოსპორტის განვითარებისთვის პასუხს აგებს.

ნ. ზუზუშვილი.

* * *

### ტექნიკური შედეგები

გუნდური ადგილები. 1. ლიტვა — 3:31.32, 2. უკრაინა — 3:34.19, 3. რსფსრ — 3:35.57, 4. ლენინგრადი — 3:40.40, 5. საქართველო — 3:42.11, 6. უზბეკეთი — 3:46.42, 7. აზერბაიჯანი — 3:47.59, 8. მოლდავეთი — 3:50.09, 9. ყაზახეთი — 3:50.33, 10. ტოლიატი — 3:51.30, 11. მოსკოვი — 3:53.01, 12. სომხეთი — 4:12.35.

პირადი შედეგები: 1. ვ. ჩებადუხინი (რსფსრ) — 1:08.29, 2. მ. გნეჟე — 1:09.03, 3. ა. ბერანკისი (ორივე — ლიტვა) — 1:09.08... 14. ა. ცხოვრებაძე — 1:13.51, 15. ნ. დემჩუკი — 1:14.01... 17. ჟ. ბოგდანოვი — 1:14.19... 23. ი. რთველიაშვილი (ყველა — საქართველო) — 1:15.33.

## ავტომატური ტელეფონით

# ლიდერებმა მოიგეს

ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია) დასასრულს მიუახლოვდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის IV ტრადიციული გათამაშება. ამჟამად ტურნირში გადამწყვეტი შეხვედრები მიმდინარეობს. მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი გვიამბობს:

— IX ტურში, რომელიც გუშინ შედგა, ლიდერებმა მოვიგეთ შეხვედრები: ვერეციმ (უნგრეთი) სძლია შვეიცარიელ ვეტშტაინს, ალექსანდრიამ — პოლონელ ერენსკას, ივანკამ (უნგრეთი) — ჰოლანდიელ ტიმერს, მე — იუგოსლავიელ კონარკოვსკა-სოკოლოვას. ცხადია, სატურნირო ცხრილში ლიდერთა პოზიციები არ შეცვლილა: ვერეცის და მე 7,5-7,5 ქულა გვაქვს, ალექსანდრიას — 6,5, ივანკას — 6.

მერლინიმ (საფრანგეთი) დაამარცხა ბიხაილიჩი (იუგოსლავია), პოლიქრონიადემ (რუმინეთი) კი მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია ერეტოვასთან (ჩეხოსლოვაკია).

დღეს, X ტურში, მე ვხვდები ვერეცის, ნანა — კონარკოვსკა-სოკოლოვას, ივანკა კი ერენსკას. ხვალ გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყობა.

14 დეკემბერი.

# ბრძოლა გრძელდება

გრძელდება თბილისის მოჭადრაკეთა 1973 წლის პირველობის ნახევარფინალი (შვეიცარიული სისტემით). გათამაშებულია 6 ტური.

ლიდერთა ჯგუფს თავკაცობენ ოსტატობის კანდიდატები კ. ჩიგოგიძე და ე. მიქაელიანი — 5,5-5,5 ქულა. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ოსტატობის კანდიდატები ნ. გოგაძე, მ. აივაზიშვილი, გ. ზაიჩიკი, ა. კოტლიარევსკი, ვ. ტახტაროვი და ე. კუშჩიანი. 4,5-4,5 ქულა აქვთ ოსტატობის კანდიდატებს გ. კალატოზიშვილს, გ. მაჭაფარიანს, დ. გედევანიშვილს, ვ. ვეფხვიშვილს, პირველთანრიგოსნებს დ. გურგენიძეს, ე. აფრიდონიძესა და პ. კუჩეროვს.

უკონკურსოდ მოთამაშე ქალთაგან ლ. ბელოზიოროვას 3,5 ქულა აქვს, ნ. გალაშვილს, ე. ბაშინჯაღიძეს, მ. დათაშვილსა და 11 წლის მ. ჩიბურდანიძეს — 3-3.

სათამაშო დარჩა ხუთი ტური.

ბ. მიხაშვილი.

# ვინ დაეწევა ტალს?

გუშინწინ ბაქოში, მოჭადრაკეთა მე-40 საკავშირო ჩემპიონატში, გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო.

მ. ტალმა (რიგა) ს. ფურმანთან (ლენინგრადი) პარტიაში იოლად გამოიყენა უპირატესობა. ამ გამარჯვებით რიგელმა დიდოსტატმა ლიდერობა განიმტკიცა.

ლიდერთან მიახლოება ყველაზე მეტად ე. ვასიუკოვს შეეძლო, მით უმეტეს, რომ ა. ლეინთან (ორივე — მოსკოვი) ზედმეტი მხედარი ჰქონდა, მაგრამ დამარცხდა. მისი მეფის მდგომარეობა მყარი არ იყო. ლეინმა ყაიმს მოგებაზე თამაში ამჯობინა. ვასიუკოვმა დაცვას თავი ვერ გაართვა, მხედარი უკან დააბრუნა და ლაზიერების ენდშპილში უპაიკებოდ დარჩა.

რიგელს ყველაზე მეტად მიუახლოვდა ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), რომელმაც ორი პარტია მოიგო. მისი ეტლი, კუ და მხედარი კ. გრიგორიანის (ერევანი) ლაზიერზე ძლიერნი აღმოჩნდნენ. მათი დახმარებით ოდესელმა დიდოსტატმა პაიკი მერვე ჰორიზონტალამდე მიიყვანა. თანაქალაქელ ლ. ალბურტთან ტუკმაკოვს ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკი ჰქონდა, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი იყო.

გ. მუხინმა (ალმა-ათა) ვ. სავონთან (ხარკოვი) პარტიაში პოზიციური უპირატესობა ვერ გამოიყენა და ყაიმს დასჯერდა. დაზავდნენ აგრეთვე: ფურმანი — ვ. ზილბერშტეინთან (ორსკი) და ალბურტთან, ა. კაპენგუტი (მინსკი) — ლეინთან, რ. ხოლმოვი (მოსკოვი) — გ. კუზმინთან (ვოროშილოვგრადი), ლ. შამკოვიჩი (მოსკოვი) — ვ. გუფელდთან (თბილისი). რ. ჯინჯიხაშვილმა (თბილისი) წააგო ი. ბალაშოვთან (მოსკოვი). მუხინთან ჯინჯიხაშვილის გადადებული პარტია კვლავ გადაიდო.

17 ტურის შემდეგ მ. ტალს 12,5 ქულა აქვს, ვ. ტუკმაკოვს — 10,5, ე. ვასიუკოვსა და ა. ლეინს — 10-10.

# ვფურცლავთ სპორტულ გაზეთებს

## შეასუსტა ისლანდიის პოლიცია

ფიშერთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდნენ ცოლ-ქმარი პოლსონები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონის სტუმრები არიან. ქმარი გახლავთ პოლიციელი, რომელიც ფიშერს უსაზღვროდ შეუყვარდა, რადგან ჟურნალისტებისგან იცავდა. ამრიგად, ისლანდიის პოლიცია, რომელიც სულ 50 კაცისგან შედგება, ფიშერმა კიდევ უფრო დაასუსტა რიცხობრივად. რაც შეეხება პოლსონს, იგი, ცხადია, ვერ შეძლებს დასვენებას ამ მგზავრობის დროს, რადგან კვლავინდებურად ფიშერის პირადი მცველის ფუნქციებს ასრულებს. ნიუ იორკი რეიკიავიკი როდია — იქ უამრავი ჟურნალისტი ცხოვრობს და მუშაობს. გაზეთ „ნიუ იორკ დეილი ნიუსის" ცნობით, ფიშერმა პოლსონს შესთავაზა მცველის „შტატიანი" თანამდებობა, მის ცოლს კი დიასახლისობა. ასე რომ, — განაგრძობს კორესპონდენტი, — შეიძლება შეიქმნას თავისებური სიტუაცია, როცა ფიშერს დიასახლისი ეყოლება, მაგრამ სახლი არ ექნება.

## სახლიც ექნება!

წინსვლა ამ მხრივაც აშკარაა. 28 წლის დასავლეთგერმანელმა არქიტექტორმა, ფიშერის შემოქმედების დიდმა თაყვანისმცემელმა რაინჰარდტ ბარნეტმა ამერიკელ დიდოსტატს წარუდგინა „სპილოს ძვლის საჭადრაკო კოშკის" პროექტი. პირველი შთაბეჭდილებით თუ ვიმსჯელებთ, იგი ფიშერს მეტისმეტად მოეწონა. სახლი 64×64 კვადრატული მეტრია და ჭადრაკის დაფის ფორმა ექნება. c4 უჯრაზე აშენდება 10-სართულიანი, ეტლის ფორმის კოშკი ფოლადის კონსტრუქციისგან უფანჯრებოდ (ასე მოისურვა ფიშერმა). გათვალისწინებულია საჭადრაკო კუს მსგავსი ორი ფლიგელიც. აქ იცხოვრებენ ფიშერის სეკუნდანტი ლომბარდი და მრჩეველი კრამერი. თითოეულ სართულზე რამდენიმე საჭადრაკო მაგიდა და მოქანავე სავარძელი დაიდგმება, რაც ფიშერს ძალიან უყვარს.

ატომსაწინააღმდეგო თავშესაფარი მარტო სარდაფში კი არ იქნება, არამედ ზედა სართულებზეც („რაც უნდა მოხდეს, დიდი ბობი უნდა გადარჩეს", — თქვა ბარნეტმა). ზედა ორი სართული, არქიტექტორის აზრით, ტრანსპორტაბელური კონსტრუქციისა იქნება. მათი გადატანა შეიძლება შვეულმფრენით ყველგან, სადაც კი ფიშერი ითამაშებს.

ახლა ფიშერი დეტალურად სწავლობს ბარნეტის პროექტს.

## სეანსი ციხეში

კუნძულზე, რომელსაც რიკერი ჰქვია, მოთავსებულია ნიუ იორკის უდიდესი საპყრობილე. ფიშერი უკვე კარგა ხანია ამ საპატიმროს თავისებური შეფია: დროგამოშვებით უფასო სეანსებს ატარებს პატიმრებისთვის. ერთი ასეთი სეანსი გაიმართა რეიკიავიკიდან დაბრუნების შემდეგ. 2400 პატიმარი იმპროვიზებული ტრიბუნებიდან თვალყურს ადევნებდა მათი 200 ამხანაგის ბრძოლას ფიშერთან. საპატიმროს ადმინისტრაციამ სპეციალური ჯილდოებიც კი გამოჰყო მათთვის, ვინც მსოფლიო ჩემპიონს დაამარცხებდა, მაგრამ ფიშერი სრულიადაც არ ფიქრობდა „ხელი შეეწყო" რომელიმე პატიმრისთვის და ზედიზედ უსწორდებოდა მათ.

სეანსის მონაწილეებს შორის ერთი ბანდიტიც იყო, რომელსაც უწინ სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. ბანდიტს ძალიან უნდოდა ფიშერისთვის მოეგო, მაგრამ მეტად საეჭვო პოზიცია მიიღო. მაშინ მან ეშმაკობას მიმართა და, სანამ ფიშერი სხვა დაფებზე თამაშობდა, ჩუმად გადაადგილა ფიგურა. მოჭადრაკეს, მით უმეტეს, დიდოსტატს, ცხადია, ასეთ რამეს ვერ გამოაპარებ. ამ დაფასთან რომ დაბრუნდა, ფიშერმა ფიგურა მაშინვე ძველ ადგილზე დადო. ბანდიტს არაფერი უთქვამს, მაგრამ ფიშერი მაგიდას მოშორდა თუ არა, ისევ იეშმაკა. მსოფლიო ჩემპიონმა მორიგი მოსვლისას ისევ დააბრუნა ფიგურა თავის ადგილზე და კვლავ მოსცილდა დაფას. ბანდიტმა მაინც არ აიღო ხელი თავის განზრახვაზე. ფიშერმა ველარ მოითმინა და იყვირა:

—გამიგონე, ძმობილო! თუ ასეთ ოინებს თავს არ დაანებებ, მივაღწევ, რომ ციხეში ჯდომის ვადა გაგიორკეცონ.

— მეტს რაღას გამიორკეცებენ, ისედაც სამუდამო პატიმრობა მაქვს მოსჯილი, — მიუგო ბანდიტმა.

## ფილანთროპია

უფასო სეანსები ციხეებში ფიშერის ფილანთროპიის ერთადერთი გამოვლინება როდია. მან, მაგალითად, თვალსაჩინო თანხა შესწირა თავშესაფრებს და საბავშვო სახლებს, დააწესა სპეციალური სუბსიდია ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკეებისთვის, „რათა სიბერეში სერიოზული პარტნიორების გარეშე არ დავრჩე".

ეს ყველაფერი, თითქოს ეწინააღმდეგება ფიშერის მისწრაფებას დიდი ჰონორარებისკენ, მაგრამ აქ, საერთაშორისო ოსტატ ჰ. გოლომბეკის აზრით, არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს, „ბობი სრულიადაც არ არის ძუნწი, იგი უფრო დიდბუნებოვანი ადამიანია, — წერდა გოლომბეკი ლონდონის „ტაიმსში". — მისი ფინანსური მოთხოვნები ტურნირებისა და მატჩების ორგანიზატორებისადმი სიხარბით კი არაა გამოწვეული, არამედ თავისი თავის დამკვიდრებისა და ჭადრაკის სტატუსის გაზრდის სურვილით. ფიშერისთვის ყველაზე უსიამოვნო მოსასმენი ისაა, რომ მას უფრო ნაკლებს უხდიან, ვიდრე მუჰამედ ალის, მარკ სპიტცს ან, ვთქვათ, ელიზაბეტ ტეილორს. როცა ბობიმ შეიტყო, რომ ტელეკომენტატორ კრონკაიტს, რომელმაც ერთხელ მისგან ინტერვიუ აიღო, წელიწადში მილიონი დოლარი შემოსავალი აქვს, აღშფოთებით თქვა: „იგი ხომ სრული არარაობაა. ისიც კი არ იცოდა რიგიანად, ვინ იყო პოლ მორფი!"

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 224, 226, 229, 231, 233, 235, 239, 242, 246.

# პენალტებმა გადაწყვიტა

კაიზერსლაუტერნი (გფრ), 13 დეკემბერი. დღეს აქ შედგა უეფა-ს თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური მატჩი ამ ქალაქის იმავე სახელწოდების გუნდსა და ერევნის „არარატს" შორის.

პირველი მატჩი ერევნელებს თავიანთ მინდორზე, როგორც ცნობილია, მოგებული ჰქონდათ — 2:0. განმეორებითი შეხვედრაც იმავე ანგარიშით დამთავრდა — გაიმარჯვეს გერმანელებმა. მასპინძლებმა პირველ წარმატებას მიაღწიეს მე-6 წუთზე, ხოლო ანგარიში 77-ე წუთზე გაზარდეს „არარატის" კარში დანიშნული საკმაოდ საეჭვო 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით.

გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო შეიქნა პენალტების სერიის დანიშვნა. ერევნელთა მეკარე აბრამიანმა შეძლო ერთი 11-მეტრიანის მოგერიება, მაგრამ ერთ გოლს გადაურჩნენ გერმანელებიც, ვინაიდან ბურთი ძელს მოხვდა. ამრიგად, 5-5 პენალტიდან ორივე გუნდმა 4-4 ზუსტად გამოიყენა.

11-მეტრიანების სერია გაგრძელდა. მასპინძლებმა პირველივე დარტყმით გოლი გაიტანეს, ხოლო „არარატმა" პენალტი ვერ გამოიყენა: „კაიზერსლაუტერნის" მეკარემ შეძლო ბურთის მოგერიება. ამრიგად, გერმანელებმა 5 პენალტი გამოიყენეს ერევნელთა 4-ის წინააღმდეგ და საბოლოოდ ორი მატჩის ჯამში გაიმარჯვეს ანგარიშით 7:6.

„კაიზერსლაუტერნი" გავიდა უეფა-ს თასის გათამაშების მეოთხედფინალში.

ფეხბურთი

# „დნეპრი" ეთიოპიაში

ადის-აბება, 13 დეკემბერი. დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ფეხბურთელთა გუნდმა აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ელექტრიკ ბაუერი". ეს ერთადერთი ბურთი პირველ წუთზე გაიტანა ე. ტოროპოვმა. მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე „დნეპრის" კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, მაგრამ მეკარე ლ. კოლტუნმა შესანიშნავი ნახტომით მოიგერია ბურთი.

# მეოთხედ-ფინალში გავიდნენ

13 დეკემბერს უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალის სხვა განმეორებითი მატჩებიც გაიმართა. მათი შედეგები ასეთია:

„ბორუსია" (მენჰენგლადბახი, გფრ) — „კიოლნი" (გფრ) 5:0 (პირველი მატჩი — 0:0)

„ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი, იუგოსლავია) — „ტოტენჰემი" (ინგლისი) 1:0 (0:2)

„ლას-პალმასი" (ესპანეთი) — „ტვენტე" (ენსხედე, ჰოლანდია) 2:1 (0:3)

„ბეროე" (ბულგარეთი) — ოფკ (ბელგრადი, იუგოსლავია) 1:3 (0:0)

„დინამო" (დრეზდენი, გდრ) — „პორტუ" (პორტუგალია) 1:0 (2:1)

„ინტერნაციონალე" (მილანი, იტალია) — „ვიტორია" (სეტუბალი, პორტუგალია) 1:0 (0:2)

„ლივერპული" (ინგლისი) — „დინამო" (ბერლინი, გდრ) 3:1 (0:0).

ამრიგად, მეოთხედფინალში გავიდნენ „ბორუსია", „ტოტენჰემი", „ტვენტე", ოფკ, „დინამო", „ვიტორია", „ლივერპული".



# უმაღლესი ლიგა

## 86:83, 63:61

კაუნასი, 13 დეკემბერი. დღეს ადგილობრივ სპორტის სასახლეში სტარტი აიღო კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატმა. კაუნასის ტურში, როგორც ცნობილია, მონაწილეობს ხუთი კოლექტივი: ლენინგრადის „სპარტაკი", კაუნასის „ჟალგირისი", კიევის „სტროიტელი" და ასე, აგრეთვე, უმაღლესი ლიგის დებიუტანტი — ვოროშილოვგრადის „სპარტაკი".

პირველ დღეს გაიმართა ორი შეხვედრა. ორივე მძაფრი და საინტერესო გამოდგა. „ჟალგირისმა" 3 ქულით მოუგო „სტროიტელს" — 86:83. კიევის არმიელთა კოლექტივი შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა ვოროშილოვგრადელებთან მატჩში. ბრძოლის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ზუსტმა სროლამ. გაიმარჯვეს არმიელებმა — 63:61.

საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — ლენინგრადის „სპარტაკი" პირველ დღეს ისვენებდა.

# „ოქროს მილენა მეხიკოდან"

როდესაც მილენა დუხკოვა მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშებიდან სამშობლოში დაბრუნდა, აღტაცებულნი ყვავილებით შევეგებეთ. ოქროს მედალი კოშკიდან ხტომაში, რომელიც მან განუმეორებელი სერიებით მოიპოვა, სენსაცია იყო. ყველაზე დიდ ოპტიმისტსაც კი აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოუცდელი 16 წლის პრაღელი გოგონა ოქროს გვირგვინით შეამკობდა ჩეხოსლოვაკიურ სპორტს. სწორედ მაშინ შევარქვით მას „ჩვენი ოქროს მილენა", თაყვანს ვცემდით, ვანებივრებდით...

ოთხი წელი სპორტისთვის და, მით უმეტეს, სპორტსმენისთვის დიდი დროა. ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს, მაგრამ მილენა კვლავ ჩვენს იმედად რჩებოდა მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშებისთვის.

მართალია, მილენა მიუნხენში სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაშიც მონაწილეობდა, მაგრამ ყველამ ვიცოდით, რომ ასეთ მცირე საჰაერო სივრცეში იგი დიდ წარმატებას ვერ მიაღწევდა. მით უფრო მოუთმენლად ველოდით მეორე ოლიმპიურ სტარტს — კოშკიდან ხტომას. ოლიმპიური თამაშების წინ დუხკოვა კარგ სპორტულ ფორმაში იყო და ნებისმიერი ოლიმპიური მედლის კანდიდატადაც ითვლებოდა. თუმცა მიუნხენში კონკურენცია უფრო მეტად იგრძნობოდა, ვიდრე მეხიკოში. ჯერ მარტო ის რად ღირდა, რომ მომხიბვლელი ულრიკა კნაპეს (შვეცია) ჩამოტოვება პრობლემად იყო გადაქცეული. კნაპეს უკვე ჰქონდა მოპოვებული ვერცხლად შეფასებული ოლიმპიური მედალი სამმეტრიან ტრამპლინზე.

მსოფლიოში საუკეთესო წყალში მხტომელის დამარცხება მილენას შეეძლო მხოლოდ უაღრესად დახვეწილი და ზუსტი ხტომით. ხუთი ნახტომის შემდეგ შედეგები სასიხარულო იყო. უპირატესობა მილენას ჰქონდა. ცოტაც, და მეხიკოს ტრიუმფი მიუნხენშიც გამეორდებოდა...

მაგრამ დადგა საღამო და მასთან ერთად ბოლო სამი ნახტომის ჯერიც. სამწუხაროდ, პირველი და მესამე ნახტომების დროს მილენა თითქოს დაიბნა და ოლიმპიური ბრძოლის უკანასკნელ ფაზაში ნერვებმა უმტყუნა. კნაპეს იგი 20 ქულით ჩამორჩა, მაგრამ ვერცხლის მედალი შეინარჩუნა. განა ეს წარუმატებლობაა? სრულიადაც არა. მადლობა ვერცხლისთვის...

თუმცა მილენა ახლა უკვე ოცი წლისაა, მაგრამ ჩვენთვის იგი ისევ ის პატარა „ოქროს გოგონაა მეხიკოდან".

* * *



სურათზე: მილენა დუხკოვა ნახტომისთვის ემზადება.

სლოვაკიის სპორტული ჟურნალი „შტარტი" (ბრატისლავა).

რედაქტორი მ. ჭაჭაზაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: ინდექსი 380008. თბილისი 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი—93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.